საიდ. №77096/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №138-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ლ. კერესელიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 08 სექტემბრის №ა-240 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ.” (Japan Tobacco Inc.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №138-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივნისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №689/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „AIR CELL“ (საიდ. №77096/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივნისის №689/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ

წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "AIR CELL" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „ჯთ ინტერნეშენელ“ (JT International S.A.) (მისამართი: 1, Rue de la Gabelle, CH-1211 Genève 26 (CH)) მიერ 34-ე კლასის მსგავსი და იდენტური საქონლისათვისათვის საერთაშორისო რეგისტრაციით მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნისა "CELL" (საერთაშორისო რეგისტრაციის თარ. 29/10/2013, საერთ. №1190433). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებულ ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს რეგისტრირებული ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემტი "AIR" რაც ვერ უზრუნველყოფს მათ შორის განმასხვავებლობას და წარმოშობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით, რომელიც ერთსიტყვიანია, განცხადებული ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვის „AIR” არსებობა მას სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას სძენს. ინგლისურ-ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვათა წყობის „AIR CELL” ქართული შესატყვისებია: „ჰაეროვანი ფოსო“, „საჰაერო კამერა ქათმის კვერცხში“, „ფილტვის ალვეოლა“. ამავე ლექსიკონის თანახმად, აღნიშვნის „CELL” ქართული შესატყვისებია: „კამერა“, „სექცია“, „კარცერი“, „სენაკი“ და სხვ. ზემოაღნიშნული სემანტიკური განსხვავება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს დაპირისპირებული

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანთან შედარებით ანიჭებს საკმაო განსხვავებას, რათა არ მოხდეს ამ ორი სასაქონლო ნიშნით მონიშნული 34-ე კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. სააპელაციო საჩივარში ასევე, აღნიშნულია, რომ საქმეში წარმოდგენილია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის, „ჯტ ინტერნეშენელ ს.ა."-ს (JT International S.A.) მიერ აპელანტი კომპანიის სახელზე გაცემული თანხმობის წერილი განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქართველოში გამოყენებასა და რეგისტრაციაზე. წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ კომპანია „ჯტ ინტერნეშენელ ს.ა." არის კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ." შვილობილი კომპანია.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ჯთ ინტერნეშენელ ს.ა." (JT International S.A.) (მის: 1, Rue de la Gabelle, CH-1211 Genève 26 (CH)) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანახმაა აპელანტი კომპანიის „ჯაპატ ტობაკო ინკ." (Japan Tobacco Inc.) სახელზე სასაქონლო ნიშნის „AIR CELL" (საიდ. N77096/03) დარეგისტრირებასა და გამოყენებაზე საქართველოში. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობლი კომპანია „ჯთ ინტერნეშენელ ს.ა." წარმოადგენს აპელანტი კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ." შვილობილ კომპანიას. აქედან გამომდინარე, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის შვილობილ კომპანიებს, შესაბამისად, აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ

რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ." (Japan Tobacco Inc.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივნისის №689/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშანი „AIR CELL" (საიდ. №77096/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ლ. ახობაძე